სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურთ ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
უკელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სტამბა

### ორთქლით მომუშავე სტამბა
### ექვთიმე ი. ხელაძისა

საპერის ქუჩა საკუთარ სახლებში № 4.
(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლად მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე საბეჭდავი მანქანა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები პ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელიდამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.

ასრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ადგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასით. ტფილისის გარეშეთ შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—5)

გოლოვინის პროსპექტზე
ქაშვეთის ეკკლესიის მამულში
იძლევა ქირით მოხერხებული

### სარდაფი

ღვინისა თუ სხვა რამ საქონლის
შესანახად. (12—5).

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

### „ბ ე რ ა ნ ჟ ე"

ქართულად
გ. ყვაზავას თარგმანი.
ფასი 40 კაპ.

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც." ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—3)

ამ დღიდან, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ ქართული წიგნების გამომცემლებს, თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდლად დაკლებით არა ნაკლებ 20%.

ადრესი: Владикавказъ. Ивану Семеновичу Месхіеву.

პატივისცემით ივანე მესხიევი

სამკურნალო და ამბულატორია

### ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს შ. ა. ზერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბა-

კავკასიაში

### ქართული წიგნებით ვაჭრობას

მთავრობის ნებადართვით ვხსნი

ცვლილი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** ქართული საქალებო სკოლის შემოსავალი. 15 დეკემბერს სახაზინო თეატრში გამართულ წარმოდგენიდან განზრახულ ქართულ საქალებო სკოლის ფონდის გასაძლიერებლად, შემოსულა: შემოწირულება თავ. გ. ს. გოლიცინისაგან—100 მ., ბილეთების გაყიდვით—1,355 მან., პრემიები—147 მ. და 15 კ. სულ 1382 მ. და 15 კ. დახარჯულა: თეატრის გარდასახადად—620 მ., მარკებისათვის 40 მ., ტანისამოსის დასაკიდად—56 მ. და 15 კ. ამ სახით წმინდა შემოსავალი დარჩენილა 666 მან.

*** ცვლილება კავკასიის საფილოქსერო კომიტეტში. განზრახვა აქვთ ამ წლიდან შესამჩნევი ცვლილება მოახდინონ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტში თვით ამ დაწესებულების თაოსნობით და ამის გამო ამ წლის მარტში ტფილისში ჩამოვა მიწად მოქმედების დეპარტამენტის მოხელე ბ. ვიტმერი, რომელსაც გამოგზავნის მიწად-მოქმედების სამინისტრო.

*** შეწირულება ტუსაღთა სასარგებლოდ. ამას წინად სომხთა კათალიკოსმა მკრტიჩ I-მა ინახულა ტფილისის მეტეხის ციხის ეკკლესიაში წმ. შუშანიკ წამებულის კუბო. ამ შემთხვევის სახსოვრად კათალიკოსმა შესწირა 100 მან. იმ პირობით, რომ მეტეხისა და საგუბერნიო ციხეების მთავრობა 14 იანვარს, კათალიკოსის სახელის დღეობაზე, გაუმასპინძლდეს ყველა ტუსაღთ, განურჩევლად ეროვნობისა, მეორე თავი საჭამადით.

*** ჭირიან საქონლის საგზალდებულო დახოცვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა და გამოგზავნა კავკასიის მთავრობის მიერ შემუშავებული წესები კავკასიაში ჭირიან საქონლის სავალდებულო დახოცვის შესახებ. ეს წესები დაიბეჭდება რუსულად და ყველა ადგილობრივ ენებზე მცხოვრებთა შორის გასავრცელებლად.

*** ტელეფონების მავთულების გამრავლება ტფილისში. ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ამ ჟამად ამრავლებს ტფილისში ტელეფონების მავთულებს.

*** შემწეობა ხაზინისაგან. ყველა იმ პირთ, რომელთაც ხაზინამ კავკასიაში ადგილ-მამულები ჩამოართვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვით, დანიშნული აქვთ შემწეობად 20,190 მან.

*** ტელეფონი ტფილისსა და ზემო ავჭალას შუა. ამ კვირაში დაამთავრებენ ტელეფონის გამართვას ტფილისსა და ავჭალის შუა, სადაც იმყოფება მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენი.

*** კაცის მოკვლა ისვის გამო. 10 იანვარს, ღამის 10 საათზე, დიღუბეში, გორის მაზრის მცხოვრები, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მსახური რომანოზ მარჯიშვილი (21 წ.) შეხვდა ნადირობიდან დაბრუნებულ ოთხ მონადირეს და მოინდომა წაერთმია მათთვის მოკლული იხვი; ამის გამო მოხდა შეტაკება და ამ დროს ერთმა მონადირეთაგანმა, პოლოსუხინმა, თო-

ფით მოჰკლა მარჯიშვილი.

*** **საქართველოს სამხედრო გზა.** ამ უკანასკნელ დღეებში, როცა ტფილისში საგაზაფხულო ამინდებია, კავკასიის მთებზე დიდი თოვლი დასდო და საქართველოს სამხედრო გზაზე ფასანაურიდან კავკავამდე მარხილები მუშაობენ.

*** **შინაურ ნაწარმოებთა განთავისუფლება სავაჭრო გარდასახადისაგან.** რადგან ზოგიერთმა სოფლებმა კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან უჩივლეს, პოლი·ია და ხარჯის ამკრეფი ინსპექტორები ნებას არ გვაძლევენ, სავაჭრო გადასახადის გადაუხდელად, გავყიდოთ წალებ-წამოლებით საკუთარი ხელით ნაკეთები ნივთები, მაგალითად: შალი, ხალიჩები და სხვა ქსოვილები, რომლებიც შეადგენენ სოფლების შინათ-მრეწველობის საგნებსაო, ამის გამო კავკასიის მთავარმართებელი დაეკითხა ფინანსთა სამინისტროს, შეიძლება თუ არა აღნიშნულ ქსოვილების წალებ-წამოლებით გაყიდვა სავაჭრო გადასახადის გადაუხდელადაო. ამაზე ფინანსთა სამინისტრომ აუწყა მთავარმართებელს, რომ ყველგან საზოგადოდ ყველა პირთ ნება აქვთ, სავაჭრო გადასახადის გადაუხდელად ჰყიდონ წალებ-წამოლებით ყოველგვარი შინაური ნაწარმოები, გარდა ვერცხლით, ოქროთი და ძვირფასი ქვებით ნაკეთებ ნივთებითაო; ხოლო კავკასიაში და ამიერ-კავკასიაში-კი ყველას ნება აქვს, გარდა ამისა, ჰყიდოს აგრეთვე წალებ-წამოლებით, აბრეშუმისა, ბამბისა და მატყლის ქსოვილებიო, და ამ სახით, შალიც, ხალიჩებიც და სხვ... შეიძლება იყიდებოდეს წალებ-წამოლებით სავაჭრო გადასახადის გადაუხდელადაო.

*** **ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი.** გენერალ მაიორი გერშელმანი ტფილისში ჩამოვიდა.

*** **კახეთის რკინის გზა.** „კავკასს“ დეპეშითა სწერენ პეტერბურგიდგან, გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ კახეთის რკინის გზის სიგრძე ტფილისიდგამ თელავზე ახმეტამდე იქმნება 221 ვერსი, ამ რკინის გზის გაყვანა დაჯდება 13 მილიონ მანათად.

*** **დაფასების გადასახადის შეღავათი.** გუშინ, 11 იანვარს, ქალაქის გამგეობამ განიხილა საქმე შესახებ იმისა, რომ მცირე შემოსავლიან სახლების პატრონებს შეღავათი მიეცეთ დაფასების გარდასახადის მხრივ.

აქამდე ისეთი წესი არსებობდა, რომ იმ პატრონთ, რომელთა მამული და შენობა 500 მანათზე ნაკლებ არის დაფასებული, დაფასების გარდასახადი არ ერთმეოდათ, თუ კი ამ მამულისა და შენობის პატრონთ სხვა რამ მამული არა აქვთ ქალაქში. ქალაქის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საბჭოს, რომ ამას იქითაც იგივე წესი დარჩესო.

*** **სამეურნეო იარაღების დასაწყობი ფარდული.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სადგურის წინ სახლის სიგძეზე ადგილი 2 საჟენის სიგანე, სამეურნეო იარაღების დასაწყობ ფარდულის ასაგებად, იმ პირობით, რომ ფარდულის გეგმა წარედგინოს დასამტკიცებლად ქალაქის გამგეობას.

*** **უგზოობა.** გაზ ნ. ობ.“-ს სწერენ, რომ მთელი შორაპნის მაზრის მცხოვრებნი და აგრეთვე ქუთაისის მაზრის 10 ათასამდე მცხოვრები დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან იმ გზა-ტკეცილის უვარგისობის გამო, რომელიც გაყვანილია ქუთაისსა და ტფილისს შუა და რომელსაც გვერდს ვერ აუხვევენ ხსენებულნი მცხოვრებნი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რკინის გზა ძალიან მოშორებულია სქლად დასახლებულ სოფლებიდან, და მეორეც იმიტომ, რომ რკინის გზას ამ სოფლებისაგან ჰყოფს მდ. ყვირილა.

დაახლოვებით 40—50 ათასი მცხოვრები იძულებულია მხოლოდ ამ გზა-ტკეცილით ისარგებლოს დ. ზესტაფონსა და ქუთაისის შუა. მაგრამ ეს გზა ტკეცილიც ისეთ საძაგელ მდგომარეობაშია, რომ მცხოვრებთ თითქმის ყოველი გზა შესწყვეტიათ ზესტაფონსა და ქუთაის შუა. განსაკუთრებით უკიდურესია ამ გზის მდგომარეობა 5 ვერსის მანძილზე, ქუთაისიდან ქვაშვამდე, რომელ მანძილის გავლას ცხენოსანი ზაფხულშიაც-კი, მშრალ ამინდში, 2 საათი უნდება. წვიმის დროს აუარებელნი მცხოვრებნი მკლებულნი არიან საშუალებას ურმებით წაიღონ ქალაქში თავიანთი ნაწარმოები და ხშირად ქუთაისიდან 18-იოდე ვერსზე მცხოვრები სამი ოთხი მაზრის ნაწარმოების გაყიდვას იძულებულია მოანდომოს ორი დღე და ღამე.

როგორც ვუწყით, ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის მესხებელთა კრება რწმუნებულთა ასარჩევად დანიშნულია ამ წლის თებერვლის უკანასკნელ მესამედში. რაც შეეხება თავად-აზნაურთა კრებას, მისი მოწვევა განზრახულია იმავე თვის უკანასკნელ რიცხვებში. თავად-აზნაურობის რწმუნებულთა არჩევნები მოხდება სამაზრო თანამდებობათა არჩევნების საზოგადო წესით; არჩეულ იქმნება იმდენი რწმუნებული, რამდენის არჩევაც დადგენილია გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების მიერ. აქამდე ფიქრობდენ, რომ რწმუნებულთა კრების ახალი წესების ძალით, სამეგრელოს თავად-აზნაურთ, რომელთა დიდი უმრავლესობა ჯერ არ არის თავად-აზნაურებად აღიარებული, და, მაშასადამე, არ ეკუთვნის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, ვერ იყოლიებენ თავიანთ წარმომადგენელთ ბანკის კრებებშიო. მაგრამ ამ ჟამად უმაღლესმა ადმინისტრაციამ განმარტა, რომ სენაკისა, ზუგდიდისა და ლეჩხუმის თავად-აზნაურთ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ, თავიანთ წარმომადგენელთა შემწეობით. ბანკის საქმეების მართვა გამგეობაში და რომ ამ მაზრების რწმუნებულთა არჩევნები იმავე წესით უნდა მოხდეს, რა წესითაც ხდება კანონით ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრების რწმუნებულთა არჩევნები.

*** **სოფ. დვანი.** (ქართლი). **სოფლის მდებარეობა.** სოფელი დვანი შემკულია მშვენიერის მდებარეობით, აქაური ვენახები მთელ ქართლში ცნობილია, რომელიც გვიმოწმებს წრევანდელ უხვს მოსავალს ღვინისას, აქაური ღვინო თითქმის შეედრება კახეთის ღვინოს, რის გამო კარგ ფასში იყიდება. პურის მოსავალიც საკმარისი მოვიდა, აქაური სოფელი სხვა სოფლებთან შედარებით ძალიან დაწინაურებულია.

— **სოფლის მოხელის თავგასულობა.** ს. დვანი და მისი სამამასახლისო დიდს გაჭირვებაში არიან სოფლის მჭამელა და გაიძვერა მოხელეებისაგან. სხვათა შორის, გვისურათხატებს ამ თვის 3 მომხდარ ამბავს. სამს იანვარს, ს. დვანში მოვიდა ერთი დაღისტნიდან მოსული ვაჭარი ლეკი, ხსენებული ლეკი ჰყიდდა საწვრიმალოს, რომ თავისი ღარიბ ცოლ-შვილისთვის ლუკმა მიეწვდინა, მაგრამ საბრალოს აქაც ბედმა უმუხთლა და სოფლის მოსავალშივე დაუხვდა ამ სოფლის მოსამართლე ანუ სოფლის „სუდია“ მიხ. მამაგულაშვილი, ამ ვაჟბატონმა თავისი უძირო ჯიბით საბრალო სოფლათ მოსიარულე ლეკი, სულით-ხორციამდის გასცალა თავისი მოქრთამეობით. მ. მამაგულაშვილმა უთხრა: „თუ მომცემ რამეს ივაჭრე, თუ არა და ბოქაულთან წაგიყვან და დაგაპატიმრებინებო“. საწყალმა უვიცმა ლეკმა აიღო და მისცა ორ აბაზიანი დანა, და როგორც იყო მოიშორა სოფლის წურბელა, მაგრამ იმის უძირო ჯიბე იმას არ დაჯერდა და კიდევ სხვა ხრიკებით მიმართა, მეორე დღეს, ე. ი. 4 იანვარს ერთმა ... ადგილობრი მცხოვრებმა, ზემოხსენებულ ... კისაგან 5 ჩაის კოვზი იყიდა, სამე დღეს გამოიხმოპს მყიდვ ... სახლიდან და ეუბნება: გუშინ ... რომ ივაჭრე ლეკისაგან, ერთი ... ნეთი გადმოყოლია ხურდაში ... ახოულობსო, (ვითომდა გ ... შესტკივდა ლეკისთვის, თუ ... ლეკი იმ დღიდანვე წავიდა სხვ ... სოფელში). თვით თქვენი უმ ... ჩილესი მონა იქ დავესწარი, ... დესაც მყიდველმა გარიგებისამ ... მისცა 5 კოვზის საღირალი ... ნებულ ლეკს. მიზანი ამ შარის ... დებისა მოხელისადმი ის იყო, ... ადგილობრივ მცხოვრებს პირა ... ინტერესი ჰქონდა და უნდოდა ... ეგლიჯა იმისთვისაც, და კიდ ... გაგლიჯა უკანონოდ. ასე და ... გვარად სოფ. დვანი ამ ვაჟბატ ... ნისაგან ნივთიერად დაქვეითებ ... ლია.

დიდათ საჭიროა, ამისთანა ... ვირ-აშვებულ მოხელეს სასტიკ ... რადღებას მიაქცევდეს, ვისგან ... ჯერ არს, და ერთხელ და სამ ... დამოთ ალაგმავდეს, თორემ ლ ... არის მთელი ამ სოფლის საზო ... დოება მან დაიმონოს.

— **ამინდები.** აქეთ კარგი ამ ... დებია, თოვლი ძალიან პატარა მ ... ვიდა, ხალხი ძალიან მხიარულ ... დაა, ყველა ოჯახიდან ქეიფ-სიმ ... რა ისმის, სუყველგან მხიარულ ... ბაა. ჩვენი ლხინიკო-უქმაძეები დ ... ღამეს ასწორებენ ქეიც-ხანჯლ ... ტრიალში.

სტუმარი.

*** **დიდი ლიახვის ხეობ** ... აქაური ქართველების ზნე-ჩვეულ ... შობა-ახალ წელიწად-ნათლი-ღ ... საზოგადოთ, აქაური ქართველ ... არც ერთ დღესასწაულს არ ... გებებიან ისე მხიარულათ, რ ... ორც ეჩნევა სხვა ხალხს. აქ, ... მხიარულე კი არა, უფრო დ ... ნება დაეტყობათ ხოლმე. აქაუ ... ბმა არც ერთი დღესასწაულ ... მნიშვნელობა არ იციან, ან ... უსწავლებია, რომ იცოდნენ? ... მა-პაპისაგან გარდმოცემული ს ... ლი ახსოვთ მარტო გარეგნო ... და ისე იქცევიან თვითონაც, ... მცა არც ერთის მნიშვნელობა ... იციან. შობის წინა დღით ... ზადებიან ხოლმე, დაჰკლავენ ... ღმერთს მოუცია: ღორს, ... ურს, ქათამს და სხვას, ყ ... ამას წინა დღით მოამზადებენ ... მეორე დღეს, ე. ი. შობის ... ვის გამოსვლამდის იმარხულ ... თუმცა წირვაზე არც კი წა ... ხოლმე, რაკი წირვა გამოვა, ... დასხდებიან სახლში და პირს ... სნიან, ე. ი. გაიხსნილებენ; ... ლის უფროსი დაილოცება ... ნით: „ღმერთო და შობის მ ... ძანების მადლო და ძალო

...დაგვასწარ მრავალს ამ დღეს და სხვა“. ამ დღეს მხიარულად გაატარებენ; მერე ამ მიწურულ კვირაში დაიწყებენ მზადებას ახალ წლისთვის, ყველა ცდილობს, რომ ახალი შეიკეროს რამე და ფულებით დაესწროს, რომ დაეკვებოს, და მთელი წელიწადი ფულიანმა იაროს და ახალ ტანისამოსში, თუმცა ამას ვერ ეწევიან ხოლმე. ამ კვირაში მიარბენინებენ შეშას ან სხვას გასასყიდ რასმეს ცხინვალში, რომ ორიოდ გროში იშოვონ, რაიც ჩალის ფასათ ეყიდებათ ხოლმე. ახალ წლის წინა დღეს უეჭველად ტყეში წავლენ და მარხილით შეშასა და ფიჩხს ...იტანენ ხოლმე, რომელსაც სა... დღის განმავლობაში არ დას...ლიან, ე. ი. სამს იანვრამდის. ...მა-კაცები რომ ტყეში და ბაზა...ში დაფათურობენ, შინ ქალებიც ...რა სხედან უსაქმოთ, დიდი და ...არა მონაწილეობას იღებს პუ...ის ცხობაში, აკეთებენ ცომისა...ან ბასილას, ბედის პურებს, ბე...ის პურები სათითაოდ უნდა გა...ცხვეს, რამდენი სულიც არიან ...ჯახში, რომელსაც თავის მნიშვ...ლობა აქვს: თუ უკეთუ რომელი...ს ბედის პური გასუქდა, მის პა...რონს უხარიან, კარგა გავატა...ებ მომავალს წელსაო, თუ თო...ში ჩავარდა ბედის პური, ის სი...დილის ნიშანია, და მისი პატ...ონი წინათვე გულ-გახეთქილი და ...დაფითრებული ვუი-ვუის იძახის. ...დის პურებს გარდა აცხობენ ...მდეგს წვრილმან რამეებს: ხა...ის ქედს, ძროხის ძუძუებს, სახ...ეს, ორმოს, ნამგალს, კრუხ-წი...ლას და სხვა რაიმე აჯათეულის ...მსგავსებს. ყოველივე ამათ როთა...ნ ნიგვზით და ჩამიჩით; ამას გა...და აკეთებენ გოზინაყსა და ალ...ბაზს. საღამოზედ, რაკი ყველანი ...ნ შეიკრიბებიან და მოამზადე...ნ აბრამიანს: ცხრილზე დაალა...გებენ ყოველივე ამ ნამცხვარს, ...ვახაზს, გოზინაყს, ჩურჩხელებს, ...ვა ხილეულს, პურ-ჩაყრილ შარ...თს და ღორის თავს, რომელიც ...ცილებლივ უნდა იყოს აბრამი...ზედ. დაალაგებენ წმიდა სანთ...ებს, გაამხიარულებენ ცეცხლსა ...ძილს მიეცემიან. მამლის ყი...ლ...სას წამოდგება ოჯახის უფ...ასი მეკვლე, აანთებს სანთლებს ...ამიანზე, დაიწერს პირჯვარს ...ლმოდგინეთ; გამოიტანს აბრა...ანს, მივა ფიჩხით დადებულს ...ერმთან, მოანტვრევს ფოთლიან ...ჩხს და გასწევს სახლის კარები...ენ (ზოგ სოფლებში სახლს უვ...იან გარშემო) და მიილოცება: ...მემ ვდგი ფეხი, გწყალობდეთ ...ერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგე...ოზისა“-ო იტყვის სამჯერ და ...შევა სახლში წალმა შემოტრიალდება სამჯერ, მიულოცავს სახლში მყოფთ, დააბერებს ყველას და ჩაჰყრის ცეცხლში მონტვრეულს ფიჩხს, რომელსაც შეუჩხინკალებს, და რა აპრიალდება და ნაპერწკლებს ისვრის, მეკვლე გაიძახის: „ამდენი ფური, კამეჩი, ღორი და სხვა“. მერე გამოიტანს ხარის ქედს, კვერცხს, კრუხ-წიწილს, ხორბალს და გასწევს წყალისკენ და ბოსელ-საქათმისკენ მისალოცათ. წყალს მიულოცავს, ხორბალს ჩაჰყრის შიგ და ეტყვის: „წყალო, შენგან მოველით მოწყალებას, და მოსავლის მოყვანასა, მომილოცნია ახალი წელიო“. პირს დაიბანს და შევა ბოსელში. საქონელსაც მიულოცავს, ხარის ქედს ხარს გადაატეხავს, კვერცხს გადაავორებს და „ასე დარგვალდითო“, ეტყვის. მერე საქათმეს მიულოცავს და საკენკს დაუყრის. შემდეგ შინაური მეკვლე ორ დღეს გარედ ვერ გავა, ქალები არ გაუშვებენ, შინ უნდა იჯდეს „კრუხათ“, თორემ კრუხი კვერცხებს აღარ დააჯდება და წიწილებს არ გამოჩეკავს. იმ დილითვე შემოვა გარედამ ვინმე მეკვლევი და მიუკვლევს. მას ქვეშ დაუყრიან მარცვალს, გაუშლიან საფენს და დასვამენ ზედ, მიართმევენ აბრამიანს, იგი დალოცავს და გარედ გავა. ქალები ლხინსა მართვენ ამ დღეს და დაირა მუზიკაზედ თამაშობენ ლეკურსა და რუსულ „ტანციურს“.

წყალ-კურთხევას გამოაცხობენ დიდრონ კვერებს, ჯვარს ამოსჭრიან მისგან და ფქვილის გოდორში ჩაფლვენ, ოვიო კვერით წყალზე წავლენ, თან წაიღებენ იარალს: ცულს, წალდსა და სხვა ავეჯსა და წყალში ჩაჰყრიან, რომელიც გაიწმიდება წყალის კურთხევის დროს, იორდანის გამართვა, ან სხვა რაიმე მორთულობა წყალზე არა იციან. განათლებულები შინ წავლენ, სმასა და ლხინს ეძლევიან, რა დროსაც თავიანთ დაჭირვება მაინც არ ავიწყდებათ...

— **ავადმყოფობა.** ამ ზამთარს დიდი ავადმყოფობაა ლიახვის ხეობაში, ძნელად მოიპოვება სახლი, ავად არავინ იყვეს, ყურის მგდებელი კი არავინ არის. ზამთარი თბილია წრეულს და ამ ავადმყოფობას თბილ ზამთარს აბრალებენ.

— **გახშირებული ქურდობა.** ამ შემოდგომაზე ძალიან იყო გახშირებული ქურდობა, ქურდები არ იცილებდნენ ცხვირ ზევით არაფერს არც წვრილფეხს და არც სხვილფეხს, მოპარული დედლების ბევრი მივიდა ქალაქის მოედნებზედ, რამდენიმე ქურდი დაიჭირეს და გათოკილნი წარუდგინეს ცხინვალის ბოქაულს, მაგრამ რა გამოვიდა; ურია-აბლაკატები მალე დაუდგნენ თავდებებათ და გაუშვეს, რომლებიც სათავდებო ფულების მოსაპოვებლად აქა-იქა ბოსლებ-მარნებში დაძვრებიან.

*** **დ. ცხინვალი.** მეტათ დაიძინა ცხინვალმა, თითქო გაღვიძებას არ აპირობსო, არაფერი გასართობი ამას არა მოეპოვებარა, გარდა ვეჩერების, სადაც განუწყვეტლი წივილ-კივილია ლოტოს თამაშის დროს. ბიბლიოთეკის ხსენება ხომ დიდიხანია გასწყვა და თვითონ სახელი „ბიბლიოთეკა“ რომელიმე ზღაპარში მდევის სახელად გარდიქმნა; რაიმე წარმოდგენა ხომ აღარავის ახსენდება, არ ვიცი იმ უწინდელმა მოღვაწეებმა და ცხინვალის გამმაფხიზლებლებმა რათ მიანებეს თავი ასე ამ დაბას? ისმის რომ ბ. სტეფანოვი აპირებს ეხლა რუსულს წარმოდგენის გამართვას, ველით და არსად არის.

— **ომნიბუსები გორსა და ცხინვალს შუა.** დავიჯერო, ასე სიამოვნებით იმგზავრებს სადმე კაცი ომნიბუსებით როგორ აქ. ომნიბუსების პატრონებს სიხარბით თვალი აღარ უჭრით, ექვს კაციან ჩასაჯდომ ომნიბუსში რვასა და ათს სმენ, თუ მოწაფეები შეხვდნენ რატომ თორმეტსაც არ), გაზვიადებული არ გეგონოთ), სამს კაცს წინ კოფოზე, და ერთი ორიოდეს კიდევ მაღლა ბანზედ, საცოდავი ცხენუკები ძლივს მიიკლაკნებიან მოლიჭყულ გზაზედ. ურემი უფრო ჩქარა წავა, სადაც დუქნები გაჩნდება „სტოი“, ვინემ კუჩერს არ ჩააცეცხლებ, ან კიდევ მედუქნეს ხეირს არ მისცემ სად წავალთ, მოხვალთ პატარა ლიახვის ხიდთან და გადმობძანდით, ბარგი გადმოიღეთ, გაიტანეთ ხიდზედ, ან ბიჭებს აჩუქეთ რამე, რომ გაიტანონ. ჩავარდა ომნიბუსი ხორგში და შაბაშ, იდექი და უცადეთ სამი საათი და თან იწიეთ ომნიბუსი. ვაი მგზავრების ბრალი, ორ საათზედ გორიდან გაბძანდი და 26 ვერსი ცხინვალამდის რვა საათამდის გალიეთ. მგზავრობა ასეთი უნდა! აიფია, ერთი მან. ხან მეტიც....

სამაჩაბლოელი.

---

## წმიდა და ნეტარი მოწამე ქრისტესი აბო *)

«აწ მოვედით, ქრისტეს მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ხსენებასა ახლისა ამის წმიდის მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩვენსა ქართლისასა მეოხ ჩვენდა ქრისტემან მოგვანიჭა და სიხარულითა მრავლითა განვახვნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩვენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღვაწებასა მისსა».

(ქება წმიდისა მოწამისა აბოსი).

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში (629 წელს) დასრულდა საქართველო-საბერძნეთის ბრძოლა სპარსეთსა და მისს ცეცხლთაყვანისმცემლობასთან. საბერძნეთის ხელმწიფემ ერეკლე დიდმა ქართველების ერთგულ დახმარებით ძირს დასცა და შემუსრა სპარსეთის ცეცხლთაყვანის-მცემლობა ცეცხლთაყვანის-მცემლობის დამარცხება დიდად საკეთილო იყო საქართველოს და საბერძნეთის ქრისტიანობისთვის... ცეცხლთაყვანის-მცემლობას სურდა ქრისტიანობა აღმოეფხვრა საქართველოში და მის ნაცვლად თვით გაბატონებულიყო. სპარსეთი, როგორც წარმომადგენელი ცეცხლთაყვანისმცემლობისა, იმ თავითვე ქრისტიანობის მოსისხლე მტერი გახდა და ამის გამო მედგრად ებრძოდა ბერძნებს, ქართველებს და სომხებს ქრისტიანობის შესამუსრავად და თვისის სჯულის დასამყარებლად მათს ქვეყნებში... მაგრამ საბერძნეთის ხელმწიფემ ერეკლე დიდმა, გამხნევებულმა წმ. ჯვრის სასოებით, ბოლო მოუღო სპარსეთსაც და მისს ცეცხლთაყვანის-მცემლობასაც... აღმოსავლეთის და მასთან ერთად საქართველოს ქრისტიანობას შეეძლო ამის შემდეგ თავისუფლად ამოესუნთქა ბ უშიშარის თვალით მხიარულად ეცქირა მომავლისკენ, შეეძლო დიდი იმედი ჰქონოდა საუკეთესო და ბრწყინვალე მერმისისა... შეიმუსრა სპარსეთი, შეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და საქართველოსი; ძლევა-მოსილად აღიმართა ჯვარი ქრისტესი მთელს აღმოსავლეთში. მართლაც, როდესაც მთელი საქრისტიანო აღმოსავლეთი და მასთან ერთად საქართველოც სპარსეთის დამარცხებას დღესასწაულობდა და ტკბილ იმედით მოცული თავისს თავს ბედნიერს მერმისს უქადდა, არაბეთში ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ახალი მოძღვრება ცრუ წინასწარმეტყველის მაჰმადისა, ფეხს იკიდებდა და თანდათან ვრცელდებოდა ამ ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში... ეს ახალი მოძღვრება მაჰმადისა დიდს განსაცდელად ევლინებოდა სალმრთო განგებისაგან მთელს ქრისტიანობას... მაჰმადიმ თვისს სწავლა-მოძღვრების მთავარს მცნებად გაჰხადა: „ცეცხლი და მახვილი“, ბ მართლაც ამ სწავლის აღმასარებელნი (შედგომილნი—ПОСЛѢДОВАТЕЛИ) ცეცხლით და ხმლით, ძალ-დატანებით ავრცელებდნენ მაჰმადიანობას მთელს ქვეყანაზედ... ბევრი ზარალი, ბევრი ვნება მისცა მაჰმადიანობამ ქრისტიანობას საზოგადოდ. ბევრი

*) საუბარი, წარმოთქმული ქვაშვეთის ტაძარში 1899 წ. 10 იანვარს.

სისხლი დაღვრილ იქმნა ქრისტიანების მაჰმადიანებთან ბრძოლაში, ბევრი ქრისტიანე მსხვერპლად შეეწირა იესოს მოძღვრებას,— ბევრი ტყვედ წაყვანილ იქმნა უცხო მხარეს, ბევრი ტაძარი, მონასტერი და სასახლე ქრისტიანებისა დანგრეულ და მიწასთან გასწორებულ იქმნა, ბევრი ქალაქი, ბევრი დაბა, ბევრი სოფელი მათის მცხოვრებლებიანად გადამწვარ იქმნა მაჰმადის სწავლის აღმსარებელთაგან... არც ჩვენი პატარა საქართველო გადარჩა მათგან აოხრებასა და მწუხარებასა... მეშვიდე საუკუნეშივე არაბებმა, რომელნიც გახდნენ ერთგულ მესვეურებად და გამავრცელებლად მაჰმადის სწავლისა, დაიმორჩილეს საქართველო... მათ მიერ აოხრებულ იქმნა ეს ქვეყანა და წამებულ იქმნენ წმიდა ძმები დავითი და კონსტანტინე, არგვეთის (ზემო იმერეთი) მთავრები (გამგეები), მათ მიერ მოკლულ იქმნა წამებით საქართველოს მეფე წმიდა არჩილ მეორე.. ვინ აღნუსხავს, ვინ აღწერს ყველა იმ სატანჯველთა, რომელიც საქართველომ მოითმინა არაბთა ბატონობის დროს... თითოეული დღე ამ ბატონობისა ახალს რასმეს, სატანჯველს და გულის მომწყვლელს, მესძენდა საცოდავს საქართველოს...

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯანმრთელობა *)

იგ. ვნებისათვის და სიყვარულისა. გაუფრთხილდი, ჭაბუკო კაცო, მაცდურს გემოთ მოყვარებასა და შექცევასა, რომელსაცა გირჩევენ შენ როსკიპნი დიაცნი, რათა შეგიყვანონ განსაცდელსა. ძალი ვნებათა დაარღვევს და დაამდაბლებს გამჭვრეტელობასა შენსა, ხოლო ფიცხელი მოსწრაფება მისი მოასწრაფებს წარწყმედასა შენსა.

და ესრეთ, ნუ დაუმორჩილებ გულსა შენსა მომწყვლელსა ვნებასა და ნუ უტევებ, რათა დაუმონოს სული შენი სიამოვნებასა მისსა: წყარო სიმართლისა განხმების მცირესა დროსა ტკბილ გემოვნებითა და მოაკლდების წყაროსა სიხარულისასა, მოხუცებულება მოგასწრობს შენ უკეთესსა დროსა წელიწადის შენისასა და მზე შენი შთავალს.

გარნა ოდეს სიამოვნება მშვენიერისა ბანოვანისა განბრწყინდება კეთილ-მოქმედებითა და კარგითა ქცეულებითა, მაშინ მშვენიერება მისი იქმნების უბრწყინვალეს მშვენიერებისაგან ვარსკვლავთასა, სპეტაკი მკერდი მისი უსპეტაკეს შროშანისა და ღაწვი მისი უსაამოვნეს ვარდისა. უბიწონი თვალნი მისნი მსგავს არიან უბიწოთა სახედველთა ტრედისათა, სიმართლე და უზაკველობა გამოზრდიან გულსა მისსა, ამბორება ბაგეთა მისთა არს უტკბილეს თაფლისა და რძისა, და კეთილ სურნელოვანება გარდამოსწვეთს პირით. ნუ დახშავ მაშინ გულსა შენსა ფაქიზის სიყვარულისა მესისაგან, უბიწონი ალნი მისნი ჰყოფენ უკეთესად გულსა და შენცა შემსუბუქებ მას მისწრაფებასა კეთილშობილურსა ქცევისადმი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 723.

## სამკურნალო ცნობა

ხუნაგი. (Дивтеритъ). ხუნაგმა ანუ „დიფტერა“ თვისი სახელწოდება მიიღო ბერძნულის ენისაგან, რომელიც ნიშნავს: განს, გარს, აფსკას. ხუნაგი დიდი ხანია რაც ქვეყნიერებაზე მძვინვარებს. ყველაზედ უწინარეს ყურადღება მიაქციეს და დაიწყეს ხუნაგზე მსჯელობა საბერძნეთის ექიმებმა პირველი საუკუნის დამლევს და დასაწყის მეორე საუკუნის ქრისტეს დაბადების აქეთ. დაახლოვებით გვარიანად შეიგნეს მაშინდელმა მკურნალებმა ეს ავადმყოფობა, თუმცა ზედ მიწევნით კი ვერ ჰკურნავდენ მათი სამკურნალო საშუალებანი და დიდძალი ხალხიც ხდებოდა ამ სენის მსხვერპლი. უპირველესად ეს სნეულება გაძლიერდა ასურეთში, ეგვიპტეში და ამიტომაც ხუნაგს მაშინდელმა თანამედროვე ხალხმა უწოდა „ეგვიპტური ანუ ასურეთის ავადმყოფობა“. ამ სნეულებას დიდის სიმხნევით და ენერგიით შეებრძოლა გამოჩენილი მეცნიერი არეტეი კაპადონიელი, ამ სნეულების შესახებ ექვსი საუკუნის წინეთ ქრ. წინ გამოჩენილმა ინდოეთის მეცნიერმა დანვანტარიმ და გასოცარმა ძველი დროის განიოსმა ჰიპოკრატმა უფრო სასარგებლო სამკურნალო საშუალებანი დასტოვეს ხუნაგის წინააღმდეგ. არეტეი კაპადონიელმა, მხოლოდ გარეგანი შეხედულება დაუხასიათა ხუნაგს, მას შემდეგ 2—3 საუკუნოებში ქ. დ. აქეთ, თითქოს ხუნაგი დაიკარგა და თუმცა ათასში ერთხელ, იჩენდა ხოლმე თავს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა ხალხი ისე, რომ მეთექვსმეტე საუკუნემდე ხუნაგის შესახებ ძალიან ცოტაა ნათქვამი და დაწერილი, მხოლოდ ამ საუკუნის ნახევარში კი ხელახლად იფეთქა ხუნაგმა, საშუალო და სამხრეთის ევროპაში, მიიღო გადამდებობითი ხასიათი და დიდძალი ხალხი გამუსრა. მაშინ მკურნალებმა განსაკუთრებითი ყურადღებით მიმართეს სნეულების გამოკვლევას და აღმოაჩინეს, რომ ეს ის ავადმყოფობა არის, რომელსაც წარსულები „ასურეთის და ეგვიპტის ავადმყოფობას“ უწოდებდნენ. მას აქეთია ხუნაგი არსებობს. ხუნაგი არ ერიდება არც დედობრივ, არც მამობრივ სქესს, არც ხნოვანებას, არც ჯავას, არც ცხოვრების პირობებს, მხოლოდ უფრო მეტი ნაწილი ემტერება და მუსრავს 1—12 წლამდე ბავშვებს. მჭიდროთ დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებშიაც გაცილებით მეტი იხოცება და თითქმის გამოულევლად იქვე ბრუნავს, მხოლოდ სხვა ყალთაღ ადგილებში ჩნდება, რამდონიმე ხანი მძვინვარებს და შემდეგ იკარგება.

ხუნაგით ავადმყოფობა ორ ნაწილად გაიყოფება: პირველი ცოტა შედავათიანია, მხოლოდ მეორეს კი შეხვედრასთანვე მოსდევს საშინელი ანთება.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

## ამორჩეული აზრები

შრომა კაცობრიობის სიცოცხლეა; მოსპეთ შრომა და მოისპობა კაცობრიობაც.

—

ფული რომ კაცს არ გვავიწყებდეს, მაშინ რაც ქვეყანაზე ბოროტებაა, იმის ნახევარიც აღარ იქნებოდა.

—

საუკეთესო ადამიანები ხშირად უდარიბესნი არიან.

—

სიღარიბე არ არის კაცისათვის სამარცხვინო, მაგრამ თუ კაცი მოწყალებით ცხოვრებას მიეჩვია, მაშინ მისგან ნუღა გამოელი ნურაფერ სიკეთეს.

## ყურმოკრული საუბარი

მემუსიკემ და მელექსემ, რომლებიც ერთად ცხოვრებდენ თავიანთ მზარეულს ხბოს თავის მომზადება შეუკვეთეს ვახშმად. მზარეულმა მოართვა ბატონებს სუფრაზე ხბოს თავი, მაგრამ ტვინი-კი შიგ მთლად ამოეჭამა. მემუსიკე და მელექსე ეკითხებიან მზარეულს:

— რატომ არ აქვს ამ თავს ტვინი?

— იმიტომ, რომ ის ხბო, რომელსაც ეგ თავი ება, მემუსიკე და მელექსე იყო.

—

ერთი კაცი უხეირო მსროლელი იყო და როცა ის თოფს ისროდა, მეორე კაცი სწორედ იმ ადგილას დადგა, საცა პირველი უმიზნებდა.

— მანდ რისთვის დგები—ეკითხებიან მას?

— იმისათვის, რომ თოფი მე არ მომხვდეს.

—

— ძლივს ერთი ჭკვიანი კაცი გიპოვე!

— შენგან არ მიკვირს! სულელს როგორ შეუძლია ჭკვიანის პოვნა?

—

— შენ ხომ ცოლი გყავს?

— სამწუხაროდ, მე-კი არ ვყავვარ მას.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 იანვარი

**ვაშინგტონი.** გერმანიის ელ... გადასცა სტატს-სეკრეტარს ... ლინიდგან მოსული დეპეში... დიდხანს ითათბირა იმასთან ... მოას შესახებ. საქმის მშვიდო... ნად გათავებას შესაძლებელ... სთვლიან, რადგანაც ჰფიქრობ... რომ ბერლინის მთავრობა არ ... ნაუგრძნობს ბერლინის ხელ... რულების დარღვევას სამოას ... სახებით.

**პარიზი.** ესტერგაზი ხვალ ს... საციო სასამართლოს წინაშე წა... დგება.

**ათინა.** დიდი მიწის-ძვრა ... და პელოპონეზში, ორი სოფ... —ფიატრა და სტატი—განად... რებულ იქმნა. ქალაქ ფილიატ... დგან მცხოვრებლები გაიხიზ... სახლების კედლები დასქდა. ... არ იციან ხალხი დაიღუპა ... არა.


## განცხადებანი

### ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი წლის მაისში მოკრეფილი, უმ... ლესის ხარისხისა, რჩეული ... ყვავილიანი გირვანქა 5 მან., გირვანქა 2 მან. 50 კაპ. ხოლო პირველი ხარისხისა გი... ვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. ... კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არ... გამოწერა შეიძლება ფას-დადე... თაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ე... დრისა გრიგორი ეფიმის ძე ... რემოვი, ქალაქ ბუზულუკში, ს... რის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლო... წერილები ეფედრის კარგ თვის... და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича

главный складъ эфедры Г... Горія Ефимовича Ефремова, Бузулукъ, Самарской губерн...

(30—28)

იყიდება ყველა ქართულ წ... მაღაზიებში

მ. ლალაშის გამოცემული წიგ...

რჩეული ლექსები და უკვ... დავი სარდალი, ცახელისა ...

ნათელა, პოემა აკაკისა . ...

ნამზრდელი, მისივე . . ...

გოდა . . . . . ...

საუკეთესო ლექსა კრება . ...

მარო, დ. მაჩხანელისა . ...

იბეჭდება და მალე გამოვა გას... პოემების კრებული

აჩრდილი, მომაკვდავის ჩვე... ნება და იმედი . . ...

(50—...